ფასი ყველგან 1 [illegible]

: გუშაგი :

№ 2.

იუმორისტიულ-ნოველიარული ალმანახი.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Тип. „Сорапань“ Ал. Мумладзе.

სიყვარულის გამოფხიზლება.

რედაქციისაგან

(მკითხველთა საყურადღებოდ)

ჩვენ ბოდშს ვეახდით ჩვენი მკითხველე-[illegible] წინაშე, რომ დაჭირებულს ვერ ვსრუ-[illegible] და ამ ნომერში არ ვეუწდვი ისე [illegible] ჟურნალის წერილებს „ოსმალეთის ისტო-[illegible] ციიდან პირადათ ხახულ-გაგონილს.“ [illegible] „ოდა ამისა, რომ წერილები მეტათ ეტე-[illegible]�дა და, ადგილი შესაძლებელია, სხვა გვ-[illegible]რი დაბეჭდებიც გაშოგუჩენოდა, ორმა (ადგილთ მისახვედრმა) გარემოებამაც აჩინა თავი, ჩვენ მაინც ვუტდებით შიმაკალში დავსტამბოთ ის წერილები, რომელიც შრ-[illegible]ლად და შრადად ქალთა მოძრაობის შე-[illegible]ხებ ოსმალეთში, ანუ „რა რადი ითამ-[illegible]შეს ქალებმა ოტომანის ძველი წესეობა

უფლებით სოელავს მამაკაცი ფეხ ქვეშ დედაკაცის უფლებებს?

დღეანდელი სოციალური კითხვები რვალ გზით ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

სხვა და სხვა მიმართულების ურთიერთ შორის მოწინააღმდეგე პირებს თავისებურათ ესმის ყველა ის, რაც ჩვენ თვალწინ დევს მძიმე საკითხათ. ყველა თავისებურ ზრუნავს კაცობრიობის აყვავებისათვის, თავისუფლების მიზნის მისაღწევათ. სხვათა შორის, სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ არ ავიწყებენ დედაკაცის საკითხსაც, მაგრამ აქაც თავისებურებას იჩენენ ყველანი. აქ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ქალთა სრული უფლებებით მამაკაცთან გათანასწორებისათვის თავსა სდებენ ჩაგრულთა კლასის ინტერესების დამცველებიც მათი აზრით, კაცობრიობა ბედნიერი იქნება ასეთი მიზნის მიხწევისათვის: ჩვენც უნდა დავუმატოთ, რომ თუ კი მშრომელი ხალხი იმ გამარჯვებას მოიპოვებს, რომ დედაკაცი უფლებრივათ გაუთანასწორდეს მამაკაცს,—ეს ერთათ ერთი ბედნიერებაა კაცობრიობისათვის. მაგრამ ბურჟუაზიას —გამბატონებულ კლასს არ აინტერესებს ასეთი საკითხი. როცა ჩამოვარდება დედაკაცის უფლებებზე ლაპარაკი, თუ რა სასარგებლოა დედაკაცის უფლებრივათ გათანასწორება მამაკაცთან, ის მაშინვე მორთავს ყვირილს: „ეს შეუძლებელია! უსამართლობაა! დედაკაცის ასეთი უფლებები ქრისტიანობის დაღუპვის გზაზე დაყენებაა! სარწმუნოების შებღალვაა! გვიშველეთ, ვინა ხარ ადამიანი! კაცობრიობას მოვლინა გამათახსირებელი მტერიო“! როდესაც ასეთი სიტყვები გესმით მართლა და თვით იმ ვაჟბატონებისაგან, რომლებიც დაუძინებელი მტერია კაცობრიობის, რომლებიც არა თუ ზრუნავს ხალხის საკეთილდღეოთ, არამედ ცდილობს უკანასკნელი სისხლი ამოწოვოს გულიდან, უკანასკნელი ტყავი გააძროს მშრომელ ხალხს, რომლის ნაფასურით თავის ჯიბეს იტენის,—ამ ვაჟბატონების ასეთი სიტყვების რახა რუხით გული გისივდება, მოთმინებიდან გამოდიხარ და ძალა-უნებურათ უნდა შესძახო:

„სტყუით, იუდანო, სტყუით კაცობრიობის მტერნო!“ და ამ სიტყვებთან ერთათ უნდა დაუსვა კითხვა მოპირდაპირეს—რისთვის ბატონობს მამაკაცი დედაკაცზე ან და რისთვის სთელავს ფეხქვეშ მის უფლებებს? მაშინ ენახოთ მოიტანეს თუ [illegible] ყურადღებას ამ კითხვას. მეცნიერების გადმოცემით ჩვენ ვიცით, რომ წინა ყოფილი ადამიანები უფრო მჭიდროთ იყვენ შეკავშირებული დედაკაცთან, ვინემ ეხლა ვხედავთ ამას. მაშინ უფლებრივათ მაღლა იდგა დედაკაცი მამაკაცზე. დედაკაცს უფლება ქონდა მოქცეულიყო ისე, როგორც ამას მოითხოვდა სახელმწიფოს კანონები. ქალი სრული უფლებით აღჭურვილი, როგორც გარეთ, ისე მოქმედება ოჯახშიაც, მაგრამ დრმთა და ჟამთა ბრუნვამ თავისი გაიტანა, თუმცა კაცობრიობა განათლების გზას დაადგა და მეცნიერებამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. ასეთი როლი კაცობრიობამ „კაპიტალისტურ“ ხანიდან იკისრა და კაპიტალისტურ ხანაში ბურჟუაზიის ჩასახვით ბევრი რამ საყურადღებო გააკეთა და ბევრსაც გაკეთებს კიდევ, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ კაცობრიობა [illegible]ანდათან განათლების გზას ადგება, რომლითაც უნდა აღორძინდეს მთელი მსოფლიოს ცხოვრება, დედაკაცი არა თუ წინ წასწია ასეთი ცხოვრების წინმსვლელობამ, არამედ ის მონა მორჩილათ გაუხადა მამაკაცს.

კაპიტალისტურ ხანიდან გაბატონებული მამაკაცი დღესაც განაგრძობს ბატონობას დედაკაცზე. დღეს ჩვენ ვიცით, რომ დედაკაცს „ოფიციალურათ“ არ შეუძლია თავისუფლათ გამოსთქვას რაიმე აზრი ან საზოგადოების სასარგებლოთ ან თავის ქმრის ოჯახის საბედნიეროთ. ხშირათ არის ისეთი ოჯახი, სადაც ცოლი ქმარზე უფრო მუყაითია ოჯახის აყვავებისთვის, მით უმეტეს შვილების აღზდა გაწრთვნაში, მაგრამ ქმარს, რომელსაც არავითარი უნარი არა აქვს, რაიმე საქმის ხელმძღვანელობის, ის მაინც იმორჩილებს ცოლს მონათ იხდის და არა თუ ესიყვარულება ასეთი გულ-კეთილობისათვის, არამედ უფრო უკარგავს ენერგიას, რომ იმუყაითოს ოჯახისთვის. ჩვენ კი ვიტყვით, რომ დედაკაცს, როგორც მოქალაქეს, თავისუფლათ, რომ შესძლებოდა თანასწორი უფლებებით ემოქმედნა მამაკაცთან ისე, რომ მისთვის არავის შეეშალა ხელი, მაშინ კაცობრიობა არა თუ ამ ხანაში იქნებოდა, არამედ ბევრათ წინ წადგამდა ნაბიჯს დღეანდელ ხანაში.

მაგრამ განა ამისათვის დღეს ფიქრობს ვინმე? დღეს მხოლოთ ძალაში გამოიხატება უფლება და ვინც ძლიერია ძალა-უფლებაც იმის ხელშია და, რაკი ეს ასეა,—ფიზიკური ძალით მაღლა დგას მამაკაცი დედაკაცზე რაღა გასაკვირალია, რომ დედაკაცი დაემორჩილებია მამაკაცს? მით უმეტეს, როდესაც კაპიტალისტურ წარმოებამ იმ წერტილამდის მიაღწია, რომ მთელი პროლეტარული ხალხი ყურ მოჭრილ მონა მორჩილად გაიხადა. ბურჟუაზიის სულის კვეთება მხოლოდ იქით შეისწრაფოდა, რომ არა თუ ქალი დაემორჩილებია, არამედ მისი უმთავრესი ცდა იმაში გამოიხატებოდა, რაც შეეძლებოდა მშრომელი ხალხისთვის მონობის უღელი კისრიდან არ მოეცილებინა... ასე განაგრძობს ის დღესაც. მან (ბურჟუაზიამ) კარგად იცის თუ დედაკაცი მამაკაცს უფლებრივათ გაუთანასწორდა, მაშინ მთელი მშრომელი ხალხი იერიშს მიიტანს მის მოსისხლე მტერზე. ეს არ ასვენებს ბურჟუაზიას. დღეს მას სიზმარშიაც კი ელანდება სიტყვა თავისუფლება, უფლებრივათ გათანასწორება, ასეთი შიშით შეპყრობილი ბურჟუაზია კარგა ხანია დიდ ფაციფუცშია და მისი წყალობით, მისი ჩაგრნებით მშრომელი ხალხიც მის გზას დაადგა და დედაკაცი მის მონა მორჩილების ქვეშ მყოფათ გამოაცხადა. თვით სულიერი მამები, რომლებიც ცხვრის ტყავში გახვეულან და მგლური მოქმედებით ქრისტეს მოადგილეობას ჩემობენ, ისინიც კი უარს ყოფენ ქალის უფლებრივათ გათანასწორებას. მათი ფიქრით, კაცმა, რაც უნდა სისულელე ჩაიდინოს, ის მაინც კაცია და უფლებაც აქვს ამისი. ქალი კი, რაც უნდა ჭკუიანი და გონიერი იყოს, ის მაინც ქალია და მას უფლება არა აქვს საზოგადო საქმისათვის მსჯელობდეს. ის სანამ გათხოვდებოდეს უნდა ემორჩილებოდეს დედმამის სურვილებს და როცა გათხოვდება შემდეგ უნდა ასრულებდეს ქმრის ბრძანებას. ასეთია ღღეს მათი აზრი. აი რას როშავენ დღეს ისინი. თვით ბნელი მასსა—ბრბო საზოგადოებისა, რომლებსაც სულიერი მამის სიტყვა ღვთის თანასწორ სიტყვათ მიაჩნიათ, გვერდს ვერ უხვევს ამას და ჩაქუჩსა სცემს [illegible] სამტკიცებლათ. ეს რომ სიმართლეა [illegible] გვიმტკიცებს ამ დღეებში ს. დიდ[illegible] ი შიდან მოწერილი წერილი.

აქედან მკითხველი ნათლად [illegible] იმას, თუ როგორ დამონავებული ყავს [illegible] ლი საზოგადოება სულიერ მამებს თავ[illegible] მატყუარა სიტყვების ჩაგონებით, თავისი ცბიერებით, რომლითაც ისინი უმტკიცებენ ხალხს: დედაკაცს ღვთის ბრძანებით უფლება არა აქვს მამაკაცთან გათანასწორების, რადგან ის მამაკაცის მარცხენა გვერდს შეადგენს, მაგრამ ჩვენ მკითხველსა ვკითხოთ: ბურჟუაზიისა და მატყუარა სულის მამების ბაძვით, რა უფლება აქვს მამაკაცებს დედაკაცის უფლებები ფეხ ქვეშ გათელოს? მიაქცევს თუ არა საზოგადოება ამას ყურადღებას? [illegible] თუ მიაქცევს,—ამასაც ვნახავთ...

ი. გ—ელ[illegible]

ნ ო ტ ა ჩ ი ყ ვ ა ვ ი ლ ი.

(ვეძღვნი მუშა ახალოს ხსოვნას)

კვლავ მიემატა გმირთ სასაფლაოს
ყვავილი ნორჩი, მუშაკის მკლავი...
კვლავ გამოგვაკლდა ცხარე ბრძოლის
დროს
მებრძოლი წრფელი—დაუღალავი!..
დადუმდა ბგე... აღარ სცემს მაჯა;
სმენას არ გვიფრთხობს მისი ყიჟინა!
მან ცივ საკანში მარტოკა... ობლათ...
უკანასკნელათ ამოიქშინა!..
ვინ იცის მაშინ მადლიან გულში
რა გრძნობა უფრო მას ულვიოდა?
—იქნებ, ვით უწინ, სიკვდილის ჟამსაც
თანამოაზრეთ გუნდს უკიოდა!..—
ვერ აშინებდა „შავი აჩრდილი“
რადგან არ იყო შიშსა ჩვეული?
ის ერთი იყო მრავალ გმირთ რიცხვში,
ის ერთი იყო ჩვენში რჩეული!
და, აი, მიტომც ის მოკვდა რწმენით,
არ ულალატა მან თვის იდეალს;
თავის სიცოცხლე, ახალგაზდობა
მსხვერპლათ შესწირა დამონებულ კლასს!
მისთვისაც ვერ დავთმობთ, ვერ დავივიწყებთ
მას ჩვენ—მუშები დაობლებულნი...
მისი სიკვდილით ჩვენ გავცოცხლდებით
მტერს ვეკვეთებთ გამხნევებულნი!
და აი, მაშინ დაგვსაჯონ, გვკიცხონ,
თუ ჩვენგანს ვისმე რწმენა დაეგმოს,
თუ ვისმე ჩვენგანს ცხარე ბრძოლის დროს
დროშა მძლეველი მტრისთვის დაეთმოს!..

„ლომანსო“

საყვავილე.

(ლექსი პროზათ)

გაზაფხულია. ბაღი—საყვავილე მზეს ეალერსება. ჰყვავის იასამნი;—
მწვანე ფოთლები ცას წარმოადგენენ, ყვავილის მტევნები — ვარსკვლავთა გუნდს.
ნიავი, დამტკბარი მათის სურნელებით, თავს ევლება, არხევს მათ,
მზის სხივები შეღგარებულნი ესობიან გულში პატარა ყვავილებს.
ჰყვავის თვის ვარდი;—გადახლეჩილ მწვანე კოკრებს გადმოუშვიათ წითლად [illegible]ეული ფურცლები.
[illegible]ავის ასკილი—თეთრი ჯაგ-ვარდა; [illegible]ლოთ მომზადებული, თეთრ კა[illegible]ყობილ, კდემამოსილ ქალ[illegible]დგენს.

ჰყვავის ნორჩ ყლორტზე გალაღებული საჭფურცელა გულყვითელა, სოსანი ზამბახი.
მიწის პირზე გაკრულ ბალახებში, ოდნავ მოჩანს რგვალ ფოთლებ შორის ია.

*
* *

აი, საყვავილეში გადადის რალაცა ცხოველი—ის გრძნობს ედემის სიახლოვეს; ბნდება ჰაერის სურნელებით; ძარღვებში სისხლი უთამაშებს.
იასამანი, თვის ვარდი, ზამბახი და ასკილი ცხოველს მისჩერებიან.
ცხოველიც მათ წინაშე თავდახრილია...

*
* *

ნიავი საყვავილეს არხევს;—ასკილისა და სხვა ყვავილების ფურცლები ცხოველს თეთრ კანზე ეფინება...
ცხოველი, სუნნელებით დამთვრალი, იასკენ მიიწევს და ტლანქი შეხებით მის სუსტ ღეროს ტეხავს; ფეხით სრესს ნაზათ გაშლილ სათუთ ყვავილს! მთრთოლვარე იას გულიდან ცვარები ებნევა და...
ქვითინით ცრემლთა დენით.
სიამაყე აღმოქუხდა...
ქარი კენესდა სევდის ხმაზე—
იის მხვედრით ისიც სწუხდა!..

ბაბ—ი.



პატარა ფელეტონი

ფ ი ქ რ ე ბ ი.

როგორი ყრუ, როგორი ცივია ჩემი ოთახი! რა სიბნელე, რა სინესტე სუფევს მასში!!..
გარეთ ქეიფია და ლხინი. გარკვეით მოისმის ჩემს პირდაპირ მაღალ სახლიდან მუსიკის მომხიბვლელი ხმა... ეს ხმა მწვდება მე გულის სიღრმეში, შლის იქ მრავალ დაგუბებულ ნაღველს და მაგრძნობიებს ტკივილებს, მწარე ტკივილებს... ისინი კი... დღესასწაულის დღეებია და... ლხინობენ, ბჭიარულობენ...
დანჟღრეულ მაგიდაზე წუნარათ ტიკ-ტიკებს ჩემი „მაღვიძებელი“ საათი. ეს ჩემი მეგობარია. ჩემი განუყრელი მეგობარი! მასთან მაკავშირებს მე მრავალი ტანჯვა... ამ უსულო საგანს თითქო ესმის ჩემი; თითქო გრძნობს იმას, რასაც მე...
ქარი წამდაუწუმ ეხეთქება ჩემ დაბალ ფანჯარას და აჟრიალებს... ოჰ! როგორ ღმუის და გაჰკივის, ხან კიდევ გულის მომწყვლელათ დაუსტვენს და მიდამოს ჩაუშხუილებს!!. წყეული! ჩემს ოთახშიც შემორბის, შემოშხუილ!.. თითქო ისევდაც არა ცოცდეს!!.
როგორი ყრუ, როგორი ბნელია ჩემი ოთახი!!.
მუსიკის ხმა უფრო და უფრო ძლიერათ ისმის. ისმიან სიმღერის ერეული ხმებიც... მაგრამ ეს სიმღერა სულ სხვა გვარია!.. ეს იმ განწირულ ადამიანთა სიმღერაა, რომელნიც შეეპას და ნეტარებას ჰპოებენ მომწამვლელ ალკოგოლში, შეიხურებენ ამით გონებას, დაივიწყებენ ყველაფერს და... მათი ცოლ-შვილი, მათი პაწია ბავშვები კი მშიერ-მწყურვალი უპატრონოთ ყრიან ისეთსავე ცივ და ბნელ სადგომში, როგორიც ჩემი ოთახია!.. არა!.. ეს სიმღერა არ არის, —ეს კვნესა და მოთქმაა მარად ტანჯულთა და მარადვე გზა დაბნეულთა!!.
გზა დაბნეულთა!!.
როგორი ყრუ, როგორი ცივია ჩემი ოთახი!!.
უკვე აღარ ძალმიძს გაჩერება. მცივა, ვკანკალებ!.. მივიხედავ ლოგინისკენ და თვალწინ წარმომიდგება საშინელი სურათი: ჭუჭყიანი საბანი, დაფლეთილი ლები, დალაქებული მუთაქა...
ფიქრები კი, საშინელი ფიქრები მაინც არ მშორდებიან თავიდან... ჩემს გონებაში თავს იყრიან ერთი-მეორეზე უარესი საშინელებანი...
თვალწინ მიდგება ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ქალი. მას სატრფო წაართვეს; ძალით წაართვეს, მოაშორეს საუკუნოთ... მათ მეტათ უყვარდათ ერთმანეთი; მათ ჰქონდათ ერთი აზრი, რწმენა, მისწრაფება!.. მათ შეეძლოთ ბედნიერები ყოფილიყვენ... მაგრამ... წაართვეს ბედნიერება, წაართვეს სიყვარული!..
აი, ახალგაზდა კაცი! ის უკვე მოწამლულა; მის სულსა და გულში დაუბუდნია მხოლოდ უიმედობას... ქონდა ოდესღაც მასაც იდეალი, აზრი, მისწრაფება... დღეს კი, აღარაფერი! გაქრა ყოველივე მისთვის! გამოურკვეველ შიშს სიკვდილისას, სიბნელისას, არარაობისას მოუცავს მისი არსება... ცხოვრების საშინაგლებას შეუპორკავს იგი, და დღეს უაზროთ, უმიზნოთ დეხეტება გაურკვეკლობის უსაზღვროებაში...
აი, კიდევ ახალგაზდა კაცი!.. მაგრამ ის უკვე კაცი აღარაა, აჩრდილია მხოლოდ კაცის!.. ის გუშინ ჩვენთან იყო, ჩვენთან მუშაობდა, ჩვენთან იბრძოდა... დღეს კი... ის მოღალატეა, ის გაუყიდველია!!.
აბა, ყრუ ქუჩის ყრუ კუნჭული!.. პირმობდეული ქალი ეფაკრება ვიღაცას.. გარშემო უსიცოცხლოთ ანათებს სინათ-

ლე... მაგრამ ილევა ნავთი და ჰქრება ის ნელ-ნელა... მიდიოს სულ უფრო და უფრო ეფინება წყვდიადი... და ამ წყვდიადში გრძელდება ვაჟრობა!!. . . . . .

როგორი ყრუ, როგორი ცივია ჩემი ოთახი!..

ქარი კვლავ სისინებს, ღმუის და უსტვენს... ფიქრები კვლავ მეხვევიან. ჩემს წინ კვლავ დგებიან უთვალავი საშინელებანი...

მაგრამ კმარა!.. აღარ შემიძლიან მეტი! შორს!!.

. . . . დარი გამოიცვლება, ღრუბლები გაიფანტებიან... გამოჩნდება მხურვალე მზე, რომელიც მოიტანს სიცოცხლეს, მოიტანს შვებას, მოიტანს სიხარულს... დღეს კი... ოჰ!... . . . . .

. . . როგორი ყრუ, როგორი ბნელია ჩემი ოთახი!!...

ილ. მგ—ძე.

4 თებერვალი 1909 წ.

რისთვის ვეწამე, რაზე შევაკალ
ჩემი სიცოცხლე ან ჩემი ძალა,—
მას—ვინც მომიწყალა ჯერ ნორჩი გული,
ვინც მასვა შხამი, გესლი, სამსალაზ?!.

თუ ვით სატანა სიცილ-ხარხარით
დღეებს უდროოდ მომიწამლავდა?—
მაშ რათ მეტრფოდა, რისთვის მხიბლავდა
თვის სიახლოვით რიღასთვის მკლავდა?!

მის შემდეგ გული ჩონჩხათ ქცეული
სისხლის ცრემლებით ღვართქაფათ სკდება,—
ის საზიზღარი, ცბიერი გველი
ჩანაცრულ გულში მაინც არ ქრება.

მე ხომ მოვსტყუვდი!?. კვლავ ბევრს შეაცდენს
გულს მონავარდე სატრფო—დემონი...
მრავალ შსხვერპლთ შორის მეც შემიწირავს
მ სთვის აღარ მწავს, აღარც ვემონვი!

მეც ხომ კაცი ვარ, ძე ადამისა—
ხომ თვით ადამიც მოხიბლა ევამ?!.
ამით-ღა ვწყევლი—სხვას ვერას ვამბობ,—
„ჩემთვის რათ შობა ცბიერი დედამ?!“

ნელიკო.

ჟურნალ გაზეთებიდან

„კ. გ.“ № 303, ჩვენ ვკითხულობთ მეტათ საყურადღებო შენიშვნას, რომელიც შეეხება. **„ქალთა მოძრაობას ჩინეთში.“**

„ჩინელ ქალთა შორის, განსაკუთრებით მაღალ საზოგადოების მანდილოსნებში, ეხს იკიდებს იდეია დედაკაცის მამაკაცთან უფლებრივ გათანასწორებისა და ამ იდეიას მაზაში მრავალი მიმდევარნი და თაყვანის მცემელნი გამოუჩნდენ. ამ რამდენიმე ხნის წინეთ, როდესაც ჩინელი ქალები თავის ოჯახურ კერას არ გასცილებოდენ და უარყოფით უყურებდენ უცხოელთა კულტურას, დღეს აშკარათ და უცებ გამოუცხადეს ბრძოლა ჩინურ ტრადიციებს და უფლებებსა და ამხედრდენ „შემავიწროებელ“ მამაკაცების წინააღმდეგ თავის უფლებების და ინტერესების დასაცველათ.

ამგვარათ, ჩინეთის დიდ ქალაქებში განზრახულია დაარსონ ქალთა სკოლები, სადაც სწავლა უნდა წარმოებდეს ევროპიელების მიხედვით. არსდება რავდენიმე ჟურნალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ეხება ქალებს და მათ უფლებრივ გათანასწორებისათვის ბრძოლას. კანტონში გახსნეს ქალთა დიდი რესტორანი, რომელიც განაგებენ ქალები და ქალებივე არიან მოსამსახურეებათ, უმთავრესად ეს რესტორანი წარმოადგენს ქალთა კრებებისა და მსჯელობის ადგილს. ჩინური პრესსა დაინტერესებულია ალთა მოძრაობით და ამაში ის ხედავს თვით ჩინელების შეგნებითი გამოღვიძების სიმპტომებს“.—

ნეტა ჩვენც მოვესწრებით ამისთანა დროს?!...

—

მოტყუებულ ქალების სინდიკატი. პატარა ქალაქ ხეშტში, სტრანსბურგის ახლოს ცოლების მიერ მოტყუებულ ქმრებს, იმის მეოხებით, რომ მათი ცოლები მეტათ სუსტ აზროვნებისანი არიან, შეუდგენიათ სინდიკატი. პირველი შეხედვით გასაკვირიც არის, რომ იმ ადამიანებმა, რომელნიც ცოლების ღალატით რქებს ატარებენ, მოისურვეს თავის თავის გამოაშკარავება, მაგრამ ნემცების ოფიციალური ორგანო, რომელიც ხეშტში გამოდის, ამ მოვლენას მაინც ხსნის. სინდიკატის კომიტეტი მოუწოდებს თავის წევრებს და აცხადებს, რომ სინდიკატის მონაწილენი ისარგებლებენ ყოველგვარ ცნობებით და იურიდიულ დახმარებით, როდესაც ისინი დაიწყებენ პროცესს თანიანთ მოღალატე ცოლებთან გაყრის შესახებ. („зак.“)

—

უზომო სილ[illegible] ბადებს ცოლ ქმრულ ერთგულებაში—ამ[illegible] სოფიზმის წყალობით პარიზში ერთმა [illegible]ტი წლის ჯვარდაწერილ ქალმა მოკლა თავისი ქმარი—ინჟინერი ბუშე ა იმ დროს, როდესაც ქმარი ტანისამოსს იცვამდა, იქვიანი ცოლი მიუახლოვდა მას, დაახალა რევოლვერი და იქავ გაანთხევინა სული. შემდეგ წაიყვანა თავისი ორი პატარა ბავშვი და მივიდა პოლიციის კომისართან, რომელსაც თავისი დანაშაული გამოუცხადა. მან თავისი ბოროტმოქმედების ჩადენა ასე ახსნა: „ჩემი ქმარი მეტათ ლამაზი იყო, ყველა ქალები აჩრდებოდენ მას, და ამ სილამაზესთან ერთათ, შეუძლებელი იყო, რომ ჩემი ერთგული დარჩენილიყო. მეტოქე ქალები აუცილებლივ წამართმევდენ ლამაზ ქმარს და მეც იმიტომ მოვკალი.“

(„Закавк.„)

განა ჩვენში კი ცოტანი არიან ამგვარი სუსტ აზროვნებისანი? მაგრამ ალახვა დაიფაროს მათზე სიტყვის თქმა!

სულიერი მამის საქციელი

დიდი-ჯიხაიშიდან ერთ ფრიად საყურადღებო და მასთან ყოვლად სამარცხვინო ამბავს გვატყობიებენ: „ჩვენ ქეშმარიტ ქრისტეს მოციქულ მღ. ბე—ონვა—ძეს ამ ერთი თვის წინეთ დიდი უბედურება ეწვა! მისი უფროსი ქალი თავის სურვილისაებრ გადაყვა თავის მეზობელ, ღარიბ კაკს და... წარმოიდგინეთ, თავისივე მოგვარეს, თუმცა მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არის. სხვას რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელს ხომ მაინც ვერ მოითმენდა „მართლმორწმუნე ქრისტიანი? ღირსეულ მოძღვარს არა ერთი და ორი თანამოაზრე აღმოუჩნდა და სჯულის გამტეხ სიყვარულით გულ ატოკებულ ახალგაზდებს არა ერთი და ორი იხსენიებდა წყევა-კრულვით, განსაკუთრებით „მშვენიერ სქესთაგან.

მეორე დღეს დადგა ფეხზე მთელი ა[illegible]ონის პოლიცია. ასტეხეს რეკა. ამცნეს მთელ ქვეყანას, რომ ჩვენში აღმოჩნდა გვარის შემრცხვენი, გარეწარი, მამის ურჩი, მერე რა მამის? იმ მამის რომელიც მისთვის არ იშურებდა ათასებს, ფიქრობდა ვინმე კარგი სამღვდელო პირისთვის მეეთხოვებია თავისი ურჩი

ქალიშვილი და შემდეგ თავისი მსუქანი მრეველიც სიძისთვის ჩაებარებინა და თვითონ კი... ჰოი, უმცრებავ! აჰყვა რაღაც სულელურ გრძნობებს და ვიღაც ოსერ „ბიჭუნიკას“ გამოეყიდა.

მესამე დღეს აღმოაჩინეს შეყვარებული ქალი „ქ-ჩრით“ მიგვარეს მშობელს და ვაჟს კი სატუსაღოში უკრეს თავი, მარა მალე გაანთავისუფლეს, რადგანაც ენა-ყოფოთ ჩაიარა „მოყვარული“ მშობლების ცდამ და ქალმა გაბედულად განაცხადა, რომ ის თავის სურვილით გაყვა და მათ ვერავითარი ძალა ვერ დაშორებს.

ერთი კვირის შემდეგ ქალი გაიქცა საქმროსთან, მარა ის ისევ წამოიყვანეს ძლიერი „მასაჟის“ შემდეგ.

ეხლაკი ის ჩაკეტეს ოთახში და მიუჩინეს ყარაული. მოიწვიეს სათათბიროთ თბილისიდან „გაგიჟ ბული“ ქალის „ღირსეული“ ბიძა—ექიმი ექთიმე. როდესაც მან გაიგო ეს „საზარელი“ ამბავი, მის სიბრაზეს საზღვარი არა ქონდა; ხელებით მუხლებზე ცემით გაცვითა 16 მანეთიანი შალვარი, ფეხების ბრახუნისაგან დახეთქა ახალთ-ახალი წაღები და, რაკი ვერას გახდა, გადუწყვეტა სამუდამო დატუსაღება და გაუდგა გზას.

13 ამ თვეს გაისმა საშინელი წვიანი ამბავი; აურ-ზაურმა ხალხი მიიყვანა შეყვარებულ ვაჟის ქოხამდე. მიხვდენ, რომ ტყვე გამოქცეულიყო, როდესაც ჩავიდენ ეზოში, მათ თვალწინ გადაშალა საზარელი სურათ: „გასულელებულ“ ქალს დათმაში ჩაფრენოდა, დედას გაეყარა კბილები მკლავებში და მარ-ნცხებული მოძღვარი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სცემდა მოკლე მუხის ჯოხს. ხალხმა გამოგლიჯა მათ ხელიდან საბრალო ქალი, რომელსაც თავზე ორი ღერი თმაც არ მოეძებნებოდა, მკლავები დაკბენილი ქონდა, ცხვირ-პირი დამტვრეული და მთელი სხეული დალურჯებული. დასასრულ კორესპოდენტი დასძენს: „ნეტა დასრულდება როდისმე ამ საბრალო ადამიანის წამება“?!

Фабрицій.

ნადსონიდან.

მე კვლავ მარტო ვარ. ჯოჯოხეთური ძაძა დაჰკვრია მიდამო-არეს;—
თვალ-ცრემლიანი დავცქერი კვალად
ახალი მსხვერპლის შავსა სამარეს...

და... რაღას ველი, რადათა ვცოცხლობ,
რათ ვიბრძვი, რისთვის ვაძგერო გული,—
განა ვინ დამრჩა—რომ ვუძღვნა წმინდა
ტრფობა, ალერსი და სიყვარული?!.

ლ. დარჩია.

ქალით მოგვაჭრე.

გაგრძელება *)

— საშინელი წამები იყო ეს წამები, — ამოხვრით განაგრძო ქალიშვილმა, — მაგრამ დღევანდელ ჩემ მდგომარეობასთან შედარებით, ის მხოლოდ აჩრდილი იყო. ჩემი მწუხარება უფრო გაორკეცა მკვდარი ბავშვის დაბადებამ. ეხლა ერთი წლის ვაჟიშვილი მეყოლებოდა, მაგრამ ბედმა ეს მარგუნა მე წილათ. სამშობიარო სახლში სულ რავდენიმე კვირა ვიწექი, შემდეგ მეტის-მეტათ დასუსტებული, ქ—მა ხარპოვისამ გამომწერა და წამიყვანა თავის სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე.

აი, აქედან იწყება ჩემთვის ახალი წამება, აი აქ შემხვდა ეს ღვთისაგან წყეული მოხუცი, რომელიც ამ სახლში მაშინ მეეზოვეთ იყო. ჩვეულებისამებრ, როგორც ახალი მოსული, მე ჩამწერეს საადრესო წიგნში და ჩემი ბილეთიდან გაიგო მოხუცმა ვინ და სადაურიც ვიყავი. როდესაც ცოტათი მოვსულიერდი და შემეძლო დერეფანში გამოსვლა წაწყმედილი მოხუცი თვალებითა მეპამდა. მეტის მეტ ცნობის მოყვარე-ბას გაეტაცნა ის და ცდილობდა, როგორმე გაძომლაპარაკებოდა. მაგრამ მე ლაპარაკის თავი არ მქონდა. ასე გადიოდა დღეები ვიდრე მოაწია სეკტემბერმა და ამ ხნის განმავლობაში მეც ცოტა მოვლონიერდი და ეზოშიაც კი დავიწყე სიარული. ერთ მშვენიერ, მაგრამ ჩემთვის უბედურ საღამოს, როდესაც მე ალაყაფის კარებთან ვიდექი, მომიახლოვდა მოხუცი მეეზოვე და ალერსიანი და მასთან ზრდილობიანი კილოთი დამიწყო საუბარი:

— თქვენ, ვგონებ, ჩერნიგოვის გუბერნიის სოსნოვიცის მაზრიდან უნდა იყოთ, კარპ ოდულინის ქალიშვილი. მამა თქვენს მე კარგათ ვიცნობ, რადგანაც მეც იქაური ვარ, მხოლოდ კი სხვა მაზრიდან მაგრამ არც ისე შორს არის ჩემი სოფელი თქვენი სოფლიდამ, სულ რამდენიმე ვერსი თუ იქნება. მე თქვენ სახლში ხშირათ ვყოფილვარ და კარგათ ვიცნობ, როგორც თქვენ მშობლებს, ისე თქვენ და ძმა თ და ნათესავებს. თუ არა ვცდები, თქვენც უნდა მიცნობდეთ—მე გახლავართ **ფეოდორ ალექსეევიჩ ოვჩარენკო** და ამ სიტყვებით გამომიწოდა ხელი მოხუცმა მეეზოვემ, მაგრამ მე ის შევაჩერე და მიუგე:—

— მე, თქვენ არ გენახებით, რადგანაც სრული ექვსი თუ შვიდი წელიწადია სახლში არ ვყოფილვარ; ჯერ ისევ ცამეტის წლისა ვიყავი, რომ ჩემმა დედამამამ კ ევში ჩამომიყვანეს და იქ ერთ პატიოსან ოჯახში დამაბინავეს.

— ეგ სულ ერთია,—იმავე ალერსიანი კილოთი მომიგო მოხუცმა,—საკმარისია, რომ თქვენებს სუყველა ვიცნობ და შენ და ძმას მამასავით ვუყვარდი. და აი, რადგანაც ჩვენ დიდიხნის ნაცნობები ვყოფილვართ და თქვენ სახლში ბევრჯერ პურმარილი მიმიღია; თქვენც მიგულეთ მამათ და დღეიდან რითაც კი შემეძლება მეც ჩემ მჩრუნველობას არ მოგაკლებთ.

მე ყველაფერი ეს მართალი ვეგონა და უფრო მაშინ დავრწმუნდი მის სინამდვილეში, როდესაც მან თავისი ბილეთი მაჩვენა და იქ ამოვიკითხე, რომ ის მართლა იმავე გუბერნიიდან ყოფილა, საიდანაც მე ვიყავ და ჩემი მისდამი მაშვილური გრძნობა, როგორც თანამემამულესადმი („землякъ“) უფრო იზდებოდა, მით უმეტეს თფილისში, რომელიც ჩემთვის უცხო ქვეყანას წარმოადგენდა.

ასე გადიოდა დღეები. ჩვენ ერთმანეთი უფრო ახლო გავიცანით, ყველაფერი ჩემი ამბავი დაწვრილებით ვუამბე, ისიც ვითომდა თანაგრძნობით შეხედა ჩემს უბედურებას და მანუგეშებდა.

აი ოქტომბერიც მიიწურა და შემოდგომის სიომ დაბერა. ცოტა არ იყოს გარეთ გრილოდა და მეც ისე ხშირ ხშირათ აღარ გამოვდიოდი.

ერთ ენინელიან საღამოს, ასე შვიდი საათი იქნებოდა, ბინდ—ბუნდი იყრებოდა, რომ თვალი მოვკარი მოხუცს, რომელიც სიმთვრალისაგან ბარბაცებდა. მე სიბრალულმა გამიტაცა და ჩამოვედი დერეფნიდან, რომ ჩექმები გამეძრო და მომესვენებინა.—

— გაშა!—ლუღლუღით და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დაიწყო მოხუცმა ფეოდორში, —გაშა! იცი მე რისთვის დავთვერ?! დღეს დეპეშა მომივიდა, რომ სოფელში მეუღლე გადამცვლია და ერთი მხრათ თუ მეწყინა, მეორე მხრით გამეხარდა, რადგანაც ეხლა თავისუფალი ვარ და ჩემ სიყვარულს ბოლომდე მივიყვან; გაშა! გაგიგებთ მიყვარხარ,—ლუღლუღებდა მოხუცი და ენას ძლივს ალასლასებდა,—მე შენს თავს ველარავინ წაართმევს, შენ ჩემი გახდები და ისე მოგავლი, როგორც ჩემ თვალის ჩინს!..

ეე ამ სიტყვების გაგონებაზე ს-ბრაზისაგან ავეთე, მაგრამ ყველა ეს თვრალი კაცის ბოდვა-ოროტვას მივაწერე და დავწვდი ფეხსაცმელების გასაძდელათ. ამდროს გალეშილმა მოხუცმა მოხვია

*) ხ. „გუშაგი“ № 1.

ტანზე ხელი, მაგრათ დამაგდო ლოგინზე, ცეგ კარი ჩაკეტა და ის ის იყო ჩემსკენ ეამობრუნდა, რომ მე გონება მოვიკრიბე, ვკარი ხელი მოხუცს, ის წაბარბაცდა, ვეცი კარებს და შეშლილივით გარეთ გამოვარდი. მაშინვე ავუხსენ ქ—ნს მოხუცის ოინბაზობა და ტირილით შევეჩივლე ჩემი უბედურობა. ქ—მა დამამშვიდა და მითხრა, რომ ხვალდაევე მოხუცი მეეზოვე ფეოდორი ადგილიდან დათხოვნილი იქნება და მართლაც ეს ასე მოხდა.

მეორე დღეს ფეოდორი დაითხოვეს.

მაგრამ ამით არ გათავებულა ეს დრამა: ის ხშირათ ითვრებოდა და გრიბოედოვის ქუჩაზე, ჩვენი სახლის წინ, ხშირათ ჩხუბი და აყალ-მაყალი აუტეხნია, რისთვისაც ხშირათ სხვა მეეზოვეებისაგან გვერდებ დაზელილი გაბრუნებულა თავის გზაზე.

ნოემბრის შუა რიცხვები იყო. მოხუც ფეოდორისაგან ოავ მობეზრებულმა ხარპოვისამ, მეზობლების ჩაგონებით, მიმიყვანა ქ—ნ ბიკლავასთან (კიეველ ვექილის ნათლია), რომელიც მაშინ ნიკოლოზის ქუჩაზე ცხოვრობდა და იქ დამშალა. გავიდა სამიოდ კვირა და არც მოხუცი ფეოდორი გამოჩენილა.

ერთ წვიმიან დღეს ქ—ნი ბიკლავა ვილაცამ ეზოში გაიწვია და როცა სახლში შემობრუნდა მომიბრუნდა და მომახარა:

— გაშა! ჩენრიგოვიდან ბიძაშენი მოსულა და შენ ნახვას ნდომულობს!—

— ბიძა?—გავიკვირვე მე,—მე ბიძა არა მყავს და ვინ უნდა იყოს?! ცნობის მოყვარეობით გამოვიქერ ოთახიდან და როცა ეზოში გამოვედი შიშის ზაფრამ გადამკრა: ჩემ თვალებს მოხუცი ფეოდორი წამოუდგა წინ და ჩვეულებრივი ღრეჩით შემომაშტერა თვალები:

— რისა შეგეშინდა, ჩემო ძმისწულო! ნთელი სამი კვირაა დაგეძებ და, როგორც იყო, საადრესო სტოლის შემწეობით მოგაგენ! მოდი! მოდი! მომეხვიე შენ ბიძას!—

მე გონება მიმელო. თვალთ დამიბნელდა, ის ის იყო უნდა წავქცეულვიყავ, მაგრამ თავი შევიკავე და ინსტიქტიურათ შევარდი ოთახში, მხოლოდ ესღა წამოვილუღლუღე.

— ეგ მოხუცი ის მეეზოვეა, რომელმაც მე გაუბატიურება მომინდომა,— და ოთახის ერთ კუნჭულში მიმალულმა ქვითინი დავწყე.

მოხუცი ფეოდორი კი არყით გაჟღენთილი უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა, ვიდრე კინწის კვრით არ გაათრიეს ეზოდან.—

— რაც გინდა მიყავით,—ღრიალებდა ის,—მე ჩემ გაშას არავის დაუთმობ! მე ეგ ჩემ მეუღლათ მყავს დასახული და ვერც ვერავინ წამართმევს მაგის თავს! ვინც გადამეღობება — პინქველასავით გავსრეს!—როგორც იყო ეზოდან გაათრიეს და კვლავ კინწის კვრით ქუჩაში გაგდეს

მაგრამ არც ამითი გათავებულა ეს სცენა, რაკი ერთხელ გაგო ჩემი ბინა—ის ხშირი სტუმარი შეიქნა ნიკოლოზის ქუჩისა და გზაში მიდარაჯებდა, მე კი შიშით ველარსათ გავდიოდი. ერთხელ ნაშუაღამევის ორი საათი იქნებოდა, რომ ფეოდორი ძალზე გალეშილი არყით მისულიყო ჩვენ სახლთან და გინებით და ლანძღვით იქაურობას იკლებდა. მაგინებდა მე, ლანძღავდა ქ—ნ ბიკლავას, უშვერი სიტყვებით იხსენიებდა სახლის პატრონს, მეზობლებს და მეეზოვეებს, და ეს უკანასკნელიც კინწის კვრით უმასპინძლებოდენ, მაგრამ ამით ის მაინც არ ჩუმდებოდა, ვიდრე გვერდები მაგრათ არ დაუზილეს.

ამისთანა მაგალითი თითქმის კვირაში სამჯერ მეორდებოდა, რის გამოც სახლის პატრონმა და მეზობლებმა კატეგორიულათ გამოუცხადეს ქ—ნ ბიკლავას, რომ აქედან წავეყვანე სადმე.

დეკემბრის პირველი რიცხვები იყო, როდესაც ბილავამ შემიკრა ჩემი ბარგ-ბარხანა, რომელიც მხოლოდ ერთ პატარა კალათას შეადგენდა, მომცა გზის ფული და საღამოსთვის სამგზავროთ გამისტუმრა.

ის იყო რავდენიმე შორეულ მანძილზე დავშორდი სახლს, რომ უცებ მოხუცი ფეოდორი წამომეწია და შემაჩერა.

— გაშა! სად მიხვალ სამშობლოში. თუ აღსტაფაში?! მერე მე რა პასუხს მაძლევ?! ხომ იცი მე უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლიან! საცა უნდა წახვიდე მეც თან გამოგყვები!—ურცხვად იმეორებდა ფეოდორი.—თუ შენი თავისთვის სიკეთე გინდა, გაისტუმრე ეს ბავშვი სახლში და მე მიგაცილებ სადგურავდის! —

მე ცოტა არ იყოს შეეყოყმანდი. გავიფიქრე—იქნება ბავშვი, რომ სახლში დავაბრუნო, როგორმე დავიყოლიო მოხუცი მეთქი და ასეც მოვიქეცი.

როდესაც ჩვენ ორნი დავრჩით და პატარა მანძილი გავიარეთ, მე რაც კი შემეძლო ალერსიანათ ველაპარაკებოდი ფეოდორს, როგორც მამას და გულში კი ჯოჯოხეთის ცეცხლი მწვთო.

— ფეოდორ! ხომ იცი, რომ ჯერ ახალგაზდა ვარ, ბევრი ჭირ ვარამი გადამტანია და ეხლა მაინც მარგუნე თავისუფლება, რომ ჩემ საყვარელ დედმამის ნახვას ველიოდეს და შემდეგ, რაც გინდა ის მიყავ,—ინანულე ჩემი მშობლები, ან წესიერი მოსწერე და მე წინააღმდეგი—ალ გავხდები,—ძალდატანებითი ცხოვრებით ველაპარაკებოდი. ჩემ თანამგზავრს, მაგრამ ჩემი სიტყვები მის გულს არ სწვდებოდა:—

— ეხლავ! ეხლავ უნდა შემისრულო თხოვნა! ღრეჩით მეუბნებოდა ფეოდორი,—აი, წაგიყვან ჩემ ბინაზე და რომ გახსნილდება ჯვარს ც დავწერ.

არ შემიძლიან! მიუგე მე,—მაგრამ სიტყვის თქმა არ დამცალდა, უცებ გაიპრიალა პატარა ნაჯახმა, (წალდი), რომელიც ზურგს უკან ქონოდა ჩარქმული და დასაკრავად მომიღერა.—

— ეხლავ გაგათავებ!—ხრინწიანი ხმით დაიღრიალა ფეოდორმა. მე გონება წამერთო და იქვე ქუჩის ქვაფენილზე უგრძნობლათ დავეშვი...

მიმინო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

გაზაფხულია. ბუნებამ უხვად
უძღვნა მინდორ-ველს ნაქარგი გული;
მხოლოდ ჩემს ქოხში კვლავ სიბნელეა,
კვლავ კვნესა არის გამეფებული!

ჯერ ჩემთვის ია არ გადაშლილა,
არც ხეებია ამწვანებული;
მხოლოდ შორიდან მატკბობს გალობით,
იმედს მიღვიძებს ნაზი ბულბული.

და მეც არ ვდრკები, აღარ ვღონდები,
ქედს აღარ ვუხრი ტანჯვა-ვაებას:—
ვიცი ტანჯული შრომისა შვილი
კვლავ მოიპოვებს სრულ გამარჯვებას!..

კ—ა ჭ—ძე.



ვ რ ო ე ქ ტ ი

უმწეო და უბატრონო გათხოვილ და გასათხოვარ ქალთა ურთიერთ დამხმარე თბილისის საზოგადოების წესდებისა.

საზოგადოების მიზანი:

1) უმწეო და უპატრონო გათხოვილ და გასათხოვარ ქალთა საზოგადოებას მიზნათ აქვს:

ა) მჭიდრო შეკავშირებით და ურთერთის დახმარებით შექმნას რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები, როგორც თავის წევრებისთვის, ისე იმ ქალებისა და ქალიშვილებისათვის, რომელთაც ცხოვრების სამწუხარო პირობების წყალო-

ბით, დაცემა-დაღუპვა მოელით; ამასთანავე საზოგადოებამ უნდა იღონოს ყოველივე საშუალებები და ეცადოს დაეხმაროს იმ უკვე ზნე-დაცემულ ქალებს, რომელთაც სურვილი აქვთ გასწორდენ და დაუბრუნდენ ცხოვრების პატიოსან გზას.

ბ) საზოგადოება იყოს წარმომადგენელი და დამცველი, როგორც თავის წევრების ინტერესებისა, ისე იმ პირთა, რომელნიც იქნებიან მის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ. ხელი შეუწყოს სხვა და სხვა დამხმარებელ ორგანიზაციების შექმნა-აღორძინებას.

გ) დაეხმაროს თავის წევრებს და აგრეთვე იმ ქალებს, რომელნიც საჭიროებენ შველას მატერიალურათ და ზნეობრივათ. ამიტომ:

ა) ხელი შეუწყოს სამსახურში შესვლისა და ადგილზე დაყენების დროს.

ბ) გაუწიოს დახმარება თავის წევრების შვილებს სასწავლებელში შესვლისა და სწავლის დროს.

გ) აღმოუჩინოს დახმარება გასათხოვარ ქალებს ჯვარისწერის დროს. (მზითვი).

დ) დააარსოს თავშესაფარი (пріютъ) მოხუცებულ წევრთათვის.

ე) მოათავსოს საავადმყოფოში ავადმყოფი წევრები.

ვ) ადევნოს თვალ-ყური, როგორც თავის წევრების ზნეობრივ სიფაქიზეს, აგრეთვე იმ ქალებისასაც, რომელნიც იქნებიან საზოგადოების მფარველობის ქვეშ კერძოთ.

და ზ) ააცილოს ისინი ყოველგვარ შეცდომილებას და არ დაუშვას საეკვო საზოგადოებებში და გარყვნილ ადგილებში.

საზოგადოების შედგენილება:

1) საზოგადოება შესდგება წევრთა განუსაზღვრელ რიცხვისაგან— როგორც მამაკაცებისა აგრეთვე ქალებისაგან, ხოლო უკანასკნელნი არ უნდა იყვენ ორმოცსულზე ნაკლები

2) საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყვენ სრულ წლოვანი ქალები, განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მდგომარეობისა.

შენიშვნა: საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს ჩარაცხოს წევრებათ აგრეთვე მტარეწლოვანი ბავშვები, მხოლოდ საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება აქვს მათ ჰქონდეს და ან მზრუნველებს.

4) ახალი წევრების მიღება დამოკიდებულია საზოგადოების გამგეობისაგან, სარევიზიო კომისიასთან ერთად.

5) საზოგადოების წევრი ჩაწერვისთანავე იხდის ერთ დროულად ხუთ მანეთს, ხოლო ყოველ თვიურათ თითო მანეთს საწევრო გადასახადს.

შენიშვნა: გაუგეობის სარეველობა კომისიასთან ერთად უფლება აქვს მოუმატოს, ან დაუკლოს საწევრო გადასახადის რაოდენობას და სრულიადაც გაანთავისუფლოს საწევრო გადასახადისაგან, უკეთუ ამის შესაძლებლად და საჭიროდ სცნობს.

6) ის პირი, რომელიც საწევრო გადასახადს არ გადიხდის სამი თვის განმავლობაში, ჩაითვლება საზოგადოებიდან გამოსულათ; გამგეობის დაკითხვით შემდეგში კი უფლება ეძლევა კვალად ჩაეწეროს წევრათ საზოგადო კანონის თანახმათ.

7) ერთდროული და ყოველთვიური საწევრო გადასახადი, საზოგადოებიდან გამოსულთ, უკან აღარ დაუბრუნდებათ.

8) საზოგადოებიდან გამორიცხვა, რომელიმე წევრისა დამოკიდებულია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების შეერთებულ სხდომაზე.

შენიშვნა: საზოგადოებიდან გაშორებულებისა სასჯელის საჭირო-ოთ მიტევნული უზნეო და გაფუჭებულ ხასიათის კაცნი ან პირნი—ქალი თუ კაცი,—რომელნიც თავის ტუდი და გაუსწორებელი უოფა ქცევით ბუდ და უზნეო შთაბეჭდილებას მოახდენენ დანარჩენ წევრებზე.

9) ის წევრი საზოგადოებისა, რომელიც ათი წლის განმავლობაში პირნათლად გადიხდის საწევრო ფულს, შემდეგში სრულიად თავისუფლდება ყოველგვარ გადასახადისაგან და აღჭურვილია იმავე უფლებებით, როგორც სხვა წევრნი საზოგადოებისა.

10) ის პირნი, მამაკაცნი თუ მანდილოსანნი, რომელნიც აღმოუჩენენ საზოგადოებას განსაკუთრებულ შემწეობას, ან შემოსწირავენ ფულს, საზოგადოების კრების დადგენილებით ჩაირიცხებიან საზოგადოების საპატიო წევრებათ.

11) თითეული წევრი საზოგადოებისა საზოგადო სხდომის დროს სარგებლობს მხოლოდ ერთი გადამწყვეტი ხმით.

12) მცირეწლოვანთა მაგიერ საზოგადოების კრების დროს ერთი ხმის უფლება ეძლევათ მათ აპეკუნებს ან მზრუნველთ.

საზოგადოების შემოსავალი წყაროთ.

3) საზოგადოების შემოსავლის წყაროს შეადგენს:

ა) ერთდროული და ყოველთვიური საწევრო გადასახადი.

ბ) საზოგადოების წარმოების წყაროთ

და გ) კერძო და ნებაყოფლობითი შემოწირულებანი.

14) ყოველ-გვარ შემოსავლიდან საზოგადოება ინახავს საზოგადო კასაში უძრავ თანხათ 20%. ხოლო დანარჩენ 80% თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა ხარჯავს საზოგადოების სხვა და სხვა საჭიროებაზე, როგორც მაგალ. სასწავლებლების დაარსება, საქველმოქმედო დაწესებულება, (Богоугодное заведеніе), სამკურნალო, ამბულატორია და სხვა. რაც შეეხება გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირებს, სახლის ქირას, განათება-გათბობას და სხვა ხარჯებს, გამგეობა ისტუმრებს იმავე 80%-დან თანახმად ყოველ-წლიურ საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვისა (смѣты).

15) საზოგადოება აარსებს აგრეთვე ერთი-ერთ დამხმარე კასას.

16) ერთი-ერთ დამხმარე კასის კაპიტალი შესდგება კერძო გადასახადებისაგან, რომელიც შემოაქვს საზოგადოების წევრს თანახმად გამგეობის გადაწყვეტილებისა, მხოლოდ არა ნაკლებ ათი მანეთისა. შემწეობა ეძლევა მხოლოდ კასაში მონაწილეს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საზოგადოების სხვა წევრსაც, უკეთუ ამას საზოგადოების გამგეობა საჭიროთა და შესაძლოთ სცნობს.

საზოგადოების მოქმედება და საქმეების მართვა-გამგეობა.

17) საზოგ-დოების საქმეებს განაგებენ:

ა) საზოგადო კრება.

ბ) საზოგადოების გამგეობა და

გ) სარევიზიო კომისია.

18) საზოგადო კრება არის წლიური, დანიშნულ ვადიანი (очередное) და საგანგებო, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნეს საჭიროებისა და მიხედვით—საზოგადოების გამგეობის და ან სარევიზიო კომისიის შეხედულებით და აგრეთვე მაშინ, უკეთუ კრების მოწვევის საჭიროებას სცნობს ერთი მეათედი რიცხვი მთელი საზოგადოებისა. კრებას იწვევენ ადგილობრივ გაზეთებში გამოცხადებით და ან მოსაწვევ ბარათების დარიგებით წევრთა შორის.

19) დანიშნულ ვადიანი კრების კანონიერათ ჩასათვლელათ საჭიროა დასწრება $^2/_3$ (ორი მესამედი) რიცხვის საზოგადოების წევრებისა. უკეთუ ამ დროს არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი წევრთა, კრება გადადებულათ ითვლება და მეორე მოწვევის ვადა აქვს ორი კვირის შედეგ, რომელიც ითვლება კანონიერ-ათ რავდენი წევრიც უნდა დაესწროს; საგანგებო კრებები ამ პირობებს არ საჭიროებს.

20) საზოგადო კრებას თავმჯდომარეობს განსაკუთრებული პირი, რომელსაც ირჩევს საზოგადოება თვითეულ კრების დროს.

№ 391
1909

21) საზოგადო კრების ადგილი და დრო და აგრეთვე ის კითხვები, რომელიც უნდა გაარჩიოს საზოგადოებამ, წინასწარ უნდა ეცნობოს ადგილობრივ მთავრობას.

22) საზოგადო კრების განხილვის საგანს შეადგენს:

ა) გამგეობის მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშისა და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა — დამტკიცება.

ბ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის და სხვა თანამდებობის პირთა არჩევნები დახურული კენჭის ყრით.

გ) განხილვა იმ კითხვებისა, რომელიც აღემატება გამგეობის უფლებას.

დ) განხილვა იმ კითხვებისა, რომელიც შეეხება საზოგადოების წესდების შეცვლა—შემცირებას და შეცვლას.

ე) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთათვის ინსტრუქციის დამტკიცებას.

ვ) საბოლოო გადაწყვეტა ყოველივე საზოგადო კითხვებისა.

ზ) საზოგადო თავლაურის დევნება და მიმართულება საზოგადოების მოქმედებისადმი, დასახულ მიზნის განსახორციელებლათ და წესდების შესასრულებლათ და თ) საპატიო წევრების დამტკიცება და საზოგადოების წევრების საზოგადოებიდან გამორიცხვა.

23) გამგეობა შესდგება ექვსი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება ერთი წლით, ამასთანაც საზოგადოების წევრნი ინაწილებენ ურთი-ერთ შორის თანამდებობას: თავმჯდომარისას, მდივნისას, ხაზინადრისას, აუცილებელ წევრისას (непремѣнный членъ) შინაურ საქმეების გამგე წევრს (Завѣдывающій хозяйственой частію) ინვენტარისას, (საზოგადოების ქონება) გამგეობის მოსამსახურეებს და გამგეს მცირე წლოვანთა და ობოლთა საქმეებისას და მათდაკუთვნილ ქონებისას, რომელიც იმყოფება გამგეობის მხედველობის ქვეშ.

24) გამგეობა უნდა იქნეს ქალაქ თფილისში.

25) გამგეობის დადგენილების კანონიერებისათვის საჭიროა დაესწროს კრებას გამგეობის ოთხი წევრი, რომელსაც აუცილებლივ თავმჯდომარე უნდა დაესწროს.

26) გამგეობის დადგენილება უნდა გადასწყდეს ხმის უმეტესობით. ხმების გაყოფის დროს უპირატესობა ეძლევა თავმჯდომარის ხმას.

(შემდეგი იქნება)

„გუშაგის“ ფოსტა

ხონში—გერს.—თქვენი მალექსილი კორესპონდენცია ხონელ „მ.რ.ნ.ეებზე“ არ დაიბეჭდება, რადგანაც ლექი სუსტია და სიცილ თ „ხაჭაპურებ“ ყელზე დადგებათ.—

ალს. თქვენი ლექი „ფუფარი“ არ და ბეჭდება.

ალ. ორდობელიძეს—ღია წერილი დარუბან ლულუნაშვილთან არ დაიბეჭდება. პირადათ მიმართეთ.

ვერაზე ქნ. პ—შვილს,—რა ადგილს თხოულობთ, რომ დახმარება აღმოვ ჩინოთ? გთხოვთ თვითონ რედაქციას მოულაპარაკოთ პირადათ.

განცხადებანი

ახლათ გაღებულია კაფე „ლონდონი“

ბაღის წინ

უკრავს ყოველ-დღე დილის 12 საათ. შუადღის 3-მდე და საღამოს 6—12 ნახ. საათამდე, პირველათ ახლათ გამოგონილი ელექტრონის საშვალებით, სტრუნის ორკესტრი. აქვე შეგიძლიათ შეუკეთოთ ხელმისაწვდომ ფასებში ახალი და სუფთა საქმელები, აგრეთვე ყავა, ჩაი, შოკოლადი, მაწონი, მაროჟნი, ლუდი ადგილობრივი და შემოტანილი სხვა და სხვა ზაკუსკეულობა: ბუტეროდი, პეროჟკები და პიროშკები. საუკეთესო სისუფთავეა და კარგი ზრდილობიანი სამსახური. სასადილოს წინ ბაღია შადრევანით.

გოლოვინის ქუჩა, მანთაშევის სახლი № 6, საბრანიეს ქვეშ.—აქვე იყიდება ხილეულობისა და მინერალური წყლები საუკეთესოთ მოწყობილ ქარხნებისა—მ. ე. ლალიძისა და კომპ.

მიტაფისცემათ ნეფარიძე და ამხ:
(7021—8—თ)

ბაღი-რესტორანი ამხ.

„ЮЖАНЕ“

(სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის საზოფხულო თეატრთან—ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ ფ. ლიევის ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან შემდგარ ელირება—60 კაპ. 3-დან 80 კაპ. 4-დან—1 მან. აქვე არის საქმელების სია და ბარ ფეისკურანტი ყველანაირის საგნებისა. ფასები ხელმისაწვდომია. (7022 8—ვე)

საშუალო სასწავლებელში

სწავლა მიღებული ქმრიანი ქალი ეძებს ადგილს „ბონნისას“ ან კასირშასი, ან რამე შესაფერ ადგილს—ეკონომკათ—გუვერნანტკათ და სხვა...

„მარსელის“ სასტუმრო № 10

მასწავლებელი (ჩუსი)

ამზადებს ბავშვების საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსამზადებელ და უმცროს კლასებში.

ავჭალის ქუჩა ერისთავის შესახვევი № 4.

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ ქალ-ვაჟთ საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსამზადებელ და 1—5 კლასავდე, აგრეთვე უცხო ენებშიც. „გუშაგის“ რედაქცია. სორაპნის სტამბა და სასტუმრო „მარსელში“ საღამოს 6—8 საათამდე.

საუკეთესო ქინერალური წყლები
ყოველგვარ ხალეუფლობისა.

მ. ე. ლალიძისა და კომპ.

გოლოვინის ბრანშეკტა. მანთაშევის სახლი № 6. „საბრანიეს“ ქვეშ.

ტელეფონი № 411

МЕБЛИРОВАННЫЕ НОМЕРА

„МАРСЕЛЬ“

съ приличной обстановкой

Вокзальная улица, домъ Сулханова.

въ Тифлисѣ.

Номера въ сутки отъ 50 к. до 2 р. 50 к.
По—мѣсячно отъ 12-ти руб. до 60 руб.
Содержатель номеровъ **С. Г. Кекелидзе**

ხიმშიევის და დიასამიძის ქალაქში
საბურთალოსთან ახლოს

იყიდება

სამოსახლო ადგილები 25 კაპ.—1 მან. ოთხკ. საჟ. ერთი წლის გადახდის ვადით. მსურველთ უნდა მიმართონ (Дворцовая, д. дворянства № 153).

დ. წულუკიძეს.

МЕБЛИРОВАННЫЕ НОМЕРА

„МУХРАНИ“

въ Тифлисѣ.

Въ самомъ центрѣ города на Головинскомъ проспектѣ, близъ дворца, напротивъ Александровскаго сада, въ домѣ Манташева бывш. Мухранскаго, надъ Собраніемъ.

30 ном — отъ 80 к. до 7 р. въ сутки

Вновь отдѣланныхъ и съ электр. освѣщ.

ИМѢЮТСЯ ГОРЯЧІЯ и ХОЛОД. ВАННЫ

помѣсячно большая уступка.

Содержатель номеровъ **Д. С. Мачаваріани**

გამომცემელი ან. დ. წულუკიძე.